„საქართველო პოლონეთის ურთიერთობები ისტორიულ პრიზმაში“

საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის მჭიდრო პარტნიორულ-მეგობრული ურთიერთობები მეტად თვალსაჩინოა, როგორც ისტორიულ პრიზმაში ასევე 21-ე საუკუნეშიც. სწორედ პოლონეთი წარმოადგენს იმ ქვეყანას, რომელიც მუდმივად უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას და გარდა ამისა არის მნიშნელოვანი საკომუნიკაციო დერეფანი საქართველოსა და ნატოს შორის. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ეკონომიკის სფეროში არსებული ურთიერთანამშრომლობის ისტორიაც. პოლონეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და მზარდია ქვეყანაში პოლონელი ტურისტების რიცხვიც.

ეკონომიკის მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 2018 წლის 5 აპრილს თბილისში გამართული ბიზნეს ფორუმიც[1],რომელიც დაორგანიზდა ქვემო სილეზიის მარშალის ოფისის და ქვემო სილეზიის ეკონომიკური თანამშრომლობის სააგენტოს მიერ, პოლონეთი-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან თანამშრომლობით. აღნიშნულ ფორუმზე პოლონეთის მხარეს გააცნეს საქართველოს საინვესტიციო გარემოს ძირითადი მახასიათებლები და შესაძლებლობები. სწორედ 2018 წელს საქართველოს ექსპორტმა პოლონეთში მიაღწია ისტორიულ ნიშნულს და გაუტოლდა 16 მილიონ აშშ დოლარს, რაც წინა წლებთან შედარებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო. მეორე მნიშნელოვანი ბიზნეს ფორუმი საქართველო-პოლონეთს შორის გაიმართა 2019 წლის 5 თებერვალს ვარშავაში[2],პოლონეთში საქართველოს საელჩოსა და კომპანია IBC Corporation Solution-ის ორგანიზებით. აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობა მიიღო ქართულ-პოლონური კომპანიების 100-ზე მეტმა წარმომადგენელმა და მეტად მჭიდრო გახდა საქართველო-პოლონეთის ეკონომიკური კავშირები. აღნიშნულ ფორუმზეც ძირითადი აქცენტი საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებზე გაკეთდა. გარდა ამისა საქართველოსა და პოლონეთს შორის მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს და ამ მიმართულებით საერთო ინტერესებს

---

[1]აწარმოე საქართველოში,„პოლონეთი საქართველოს ბიზნეს ფორუმი“,5აპრილი 2018,ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/AhB4xzj

[2] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, „ვარშავაში პოლონეთ-საქართველოს ბიზნეს ფორუმი გაიმართა“, 2 თებერვალი 2019, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/ehB86lb

უზრუნველყოფს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, რომელსაც საქართველომ ხელი 2014 წელს მოაწერა და ამით საშუალება მიეცა ევროპულ ბაზარზე გასვლის.

გარდა ეკონომიკურ სფეროში პარტნიორობისა მნიშვნელოვანია საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობაც. სწორედ პოლონეთია საქართველოს ნატოში გაწევრიანების გულმხურვალე მხარდამჭერი და ოფიციალურად საერთაშორისო არენაზე, სწორედ პოლონეთია მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო სივრცეც ბრიუსელსა და საქართველოს შორის. გარდა ამისა თავდაცვის სფეროშიც საქართველოს აქტიურად ეხმარება პოლონეთი, რაც გამოიხატება ერთი მხრივ კონსულტაციებისა და სასწავლო ვიზიტების განხორციელებაში, ხოლო მეორე მხრივ მოიცავს ერთობლივ წვრთნებში მონაწილეობასაც. გარდა ამისა პოლონეთი ღიად და აქტიურად ლობირებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის საკითხს საერთაშორისო არენაზე და მოითხოვს საქართველოს გაწევრიანებას ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუტებში. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2020 წლის 12 მაისს პოლონეთში პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული თავდაცვის ახალი სტრატეგიის დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები და მხარდაჭერილია ოფიციალურ დონეზე საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა. გარდა ამისა აღნიშნულია ეფექტური ღონისძიებების გატარება რუსეთის ნეოიმპერიალისტური ზრახვების წინააღმდეგ.[3]

პოლონეთსა და საქართველოს შორის პარტნიორულ ურთიერთობებს ისტორიული საფუძველი გააჩნია. სწორედ პოლონეთი იყო ის სახელმწიფო, რომელმაც 1919 წელს აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და შემდგომ უკვე სამხედრო მხარდაჭერის და ურთიერთთანამშრომლობის აქტსაც მოაწერა ხელი. პოლონეთს საქართველო არც 2008 წლის აგვისტოში მიუტოვებია და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების საკითხში ხელმეორედ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი დასაყრდენი. 2008 წლის აგვისტოში პოლონეთის ექს-პრეზიდენტი ლეხ კაჩინსკი სხვა პოლიტიკურ ლიდერებთან ერთად იმყოფებოდა თბილისში და გამოხატავდა პროტესტს რუსეთის აგრესიის წინააღდეგ. ეს იყო პოლონეთის ღია და ნათელი მხარდაჭერა, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული ერთიანობისადმი, როგორც მეგობარი და მოკავშირე სახელმწიფოსი.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს პოლონეთის სახით ჰყავს საერთაშორისო არენაზე მხარდამჭერი და მეგობარი სახელმწიფო. პარტნიორულ კავშირებს კი აქვს როგორც ისტორიული და პოლიტიკური, აგრეთვე ეკონომიკური საფუძველიც. მნიშნელოვანია, რომ პოლონეთი ღიად უჭერს მხარს საქართველოს ევროინტეგრაციას და ეხმარება მეგობარ სახელმწიფოს ,როგორც თავდაცვით საკითხებში ასევე უზიარებს საკუთარ გამოცდილებას დემოკრატიული პრინციპების დაცვისა და განვითარების მიმართულებით. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პოლონეთის განსაკუთრებული როლი საქართველოს სახელმწიფოებრიობის მხარდაჭერაში. ეს არის ქვეყანა, რომელიც მუდმივად ღიად აფიქსირებს საქართველოს

[3] The Foreign Policy Council, " პოლონეთის თავდაცვის ახალი სტრატეგია – მიმოხილვა", 17 ივნისი 2020, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/whB7QR9

ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას და საერთაშორისო ფორუმების ტრიბუნალებიდან მოუწოდებს ევროპის სახელმწიფოებს მიიღონ საქართველო სრულფასოვან წევრად და მოკავშირედ ევროინსტიტუციებში. გარდა ამისა პოლონეთი აქტიურად არის ჩართული ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში და დიპლომატიურ ფლანგზე აქტიურად ლობირებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხს. ასევე შეინიშნება ეკონომიკური კავშირების გაფართოებისა და ამ მიმართულებით სამომავლოდ მზარდი პოტენციალიც, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც. ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს დღის წესრიგში დგას ეკონომიკური განვითარების საკითხიც, რომელიც ერთის მხრივ მნიშნელოვანი გარანტიაა ქვეყნის წინსვლისა. შესაბამისად პოლონეთთან პარტნიორული თანამშრომლობა საექსპორტო ბაზარზე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ერთი მხრივ საქართველოს დაახლოებას ევროპულ ინსტიტუციებთან და მეორე მხრივ გახდება მნიშვნელოვანი გარანტი ქვეყნის განვითარებისა.

ავტორი: ქეთევან მურღულია